საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №79
2021 წლის 8 აპრილი

ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 19/11/2020, სარეგისტრაციო კოდი 190040000.22.033.017394) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული რიგი საქონლის „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის რედაქციის საფუძველზე მომზადებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან (სეს ესნ)“ კორელაციის ცხრილის“ (დანართი №2):

1. მე-2 გრაფა ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 გრაფა:

„4^1	173-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი	3808 91 3808 92 3808 93		3808 61 000 00 3808 62 000 00 3808 69 000 00 3808 91 3808 92 3808 93“.	

3. 22-ე გრაფა ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**